გავრცელებულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედების და ზიანის შესახებ ცოდნა ქართულ საზოგადოებაში.

ვახტანგ სარდალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021წ

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვახტანგ სარდალიშვილი

2021 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: საქართველოს ხელისუფლებისთვის ნარკოდამოკიდებულების კომპლექსურ პრობლემასთან გამკლავების მეთოდი უმეტესწილად სამართლებრივ ჭრილში განიხილება, რაც გულისხმობს მოხმარების, გასაღების და დამზადების ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადებას. აღნიშნული მეთოდი დამოკიდებულების პრობლემის ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომით გადაჭრის მცდელობის მაგივრად, მისით ყველაზე მეტად დაზიანებული მოსახლეობის დევნას, ინკარცერაციას და სტიგმატიზაციას იწვევს. ქვეყანაში გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ლეგალური კლასიფიკაცია არ ესადაგება მათ ადამიანზე მიყენებული ზიანის პოტენციალს. მაგალითად ალკოჰოლი, რომელიც ადამიანზე და გარემოზე ზიანის მიყენების კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მეტად საზიანოა, არის ლეგალური და წარმოადგენს ქვეყნის სოციალური თუ ეკონომიკური იმიჯის განუყოფელ ნაწილს, ხოლო მარიხუანა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის შედარებით ნაკლებად საზიანოა, გარემოზე კი, უმნიშვნელო უარყოფითი გავლენა აქვს, წარმოადგენს არალეგალურ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას და მისი კულტივირება, გასაღება, თუ მოხმარება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანი არის საქართველოში გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების და ზიანის შესახებ ცოდნის შესწავლა ახალგაზრდა და ზრდასრულ მოსახლეობაში. საინტერესოა საქართველოს მოსახლეობის განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფები რა ტიპის კლასიფიკაციას ანიჭებენ უპირატესობას, შეესაბამება თუ არა ფსიქოაქტიური ნივთიერების პოტენციური ზიანის შესახებ ცოდნა მის მიერ რეალურად გამოწვეულ ზიანს, თუ ყურადღება ექცევა ნივთიერების ამჟამინდელ კანონიერ სტატუსს. ჩემთვის ასევე საინტერესო იყო მეკვლია, თუ საიდან ხდება ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის მიღება საზოგადოებაში და რომელი საინფორმაციო მედიუმი არის დომინანტური თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში.

ამ კვლევით ასევე ვეცადე გამერკვია, თუ არსებობს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა მიმართ სტიგმატიზაციის დონეში განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის.

კვლევის მეთოდი: რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იყო ჯვარედინ-სექციური მეთოდი. გამოკითხვა ჩატარდა ორ ნაწილად, პირველი წარმოადგენდა Google Forms-ში შექმნილი ონლაინ კითხვარის გავრცელებას სოციალური ქსელის Facebook გამოყენებით. მეორე მეთოდი გულისხმობდა გამოკითხვის ჩატარებას თბილისის ქუჩებში, სოციალურად აქტიურ ტერიტორიებზე. კვლევის მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზისთვის განკუთვნილი პროგრამა SPSS გამოყენებით.

კვლევის შედეგები: გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 114 პირმა, საიდანაც 72 იყო ქალი და 42 მამაკაცი. მინიმალური ასაკი შეადგენდა 18 წელს, მაქსიმალური დაფიქსირებული ასაკი კი, 86 წელი იყო (საშუალო 34.95). 18-35 ასაკობრივი ჯგუფიდან წარმოდგენილი იყო 84 პირი, 45-90 წლის ჯგუფიდან კი 28. გამოკითხვის შედეგად ჩანს, რომ დაბალ ასაკობრივ ჯგუფში ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ცოდნის უპირველესი წყარო არის საკუთარი და მეგობრების გამოცდილება 35.7%, რომელსაც მოყვება მედია საშუალებები (ტელევიზია / ინტერნეტი) 34.5%, მაღალ ასაკობრივ ჯგუფში მედია საშუალებები (ტელევიზია / ინტერნეტი) დაფიქსირდა, როგორც ცოდნის მთავარი წყარო (50.0%).

მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა ასაკობრივ ჯგუფებს შორის მარიხუანას მოხმარებით გამოწვეული ფიზიკური ზიანის შეფასებაში, 18-35 წლის ასაკობრივი ჯგუფის 39.3% თვლიდა, რომ მარიხუანა საშუალოდ საზიანო არის ფიზიკური ჯანმრთელობისთვის, 28.6% კი, მარიხუანას მიიჩნევდა ფიზიკური ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოდ. 45-90 წლის ასაკობრივი ჯგუფის 21.4% მიიჩნევდა მარიხუანას ფიზიკური ჯანმრთელობისთვის საშუალოდ საზიანო ნივთიერებად, ხოლო 64.3% თვლიდა, რომ მარიხუანა ძალიან მავნებელი იყო (p = .017).

მაღალი ასაკობრივი ჯგუფის 67.9% თვლის, რომ მოხმარებასთან დაკავშირებული კანონები უნდა გამკაცრდეს, დაბალი ასაკობრივი ჯგუფის 54.8% მიესალმება კანონმდებლობის შემსუბუქებას (p <.001).

45-90 ასაკობრივ ჯგუფში უფრო მაღალი სტიგმატიზაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა მარიხუანის მომხმარებლის მიმართ განცდილი ბრაზის (p = .001) და საშიშროების (p = .028) მხრივ. ამის საწინააღმდეგოდ, ალკოჰოლზე დამოკიდებული პიროვნების მიმართ უფრო მეტი თანაგრძნობა იყო დიდი ასაკის ჯგუფში (p = .011).

დასკვნა: ასაკობრივ ჯგუფებს შორის სხვაობა არის ფსიქოაქტიური ნივთიერებების ადამიანზე და გარემოზე პოტენციური ზიანის შესახებ ცოდნის უპირატეს საინფორმაციო წყაროებში. მაღალი ასაკობრივი ჯგუფისთვის ქვეყანაში გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზიანის აღქმა ემთხვევა ამ ნივთიერებების ლეგალურ სტატუსს, დაბალი ასაკობრივი ჯგუფის შეფასება კი, თანხვედრაში მოდის ემპირიული ცოდნით დადგენილ განაწილებასთან.

კვლევის შედეგების მიხედვით სახეზეა მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში მარიხუანას მომხმარებელთა მიმართ სტიგმა.

საკვანძო სიტყვები: ალკოჰოლი, მარიხუანა, ნიკოტინი, ოპიატი, მოხმარებით გამოწვეული ზიანი.

Abstract

Introduction: The complex problem of drug addiction is mostly viewed through a prism of law enforcement by the Georgian government, which means that consumption, distribution and production of most psychoactive substances is considered to be a criminal offence and is regulated by the law. Method described above does not take into consideration bio-psycho-social aspect of drug addiction and tends to cause more issues by prosecuting, incarcerating and stigmatizing the people affected by this problem the most. The legal classification of popular psychoactive substances in Georgia does not correspond with their potential harm to the

individual, for example, alcohol is known to have high potential of harm to the individual and others, is legal and stands out as an important part of country's social and economic image, whereas marijuana, which is relatively less harmful to the individual's health and has no adverse effects on others, is an illegal substance and its cultivation, trade and consumption is prohibited by the government.

Objectives: The aim of my study is to explore possible differences in knowledge of effects and harmfulness of popular psychoactive substances between young adults and adults. It is interesting which type of classification is preferred by each group, whether it is the potential of harm based on empirical data or the legal status of a drug. The study also examined which sources of information are dominant in providing knowledge about effects and harm of substances in question. I was also interested to understand if there is a difference in stigmatization levels of drug users within the groups.

Methodology: Quantitative research method with cross-sectional design was used in the study. Interviewing was performed using two methods, one consisted of an online questionnaire designed in Google Forms which was distributed via a social network Facebook. The second method implied performing street interviews by choosing respondents using random method in the streets of Tbilisi. Data was analyzed in an analytical statistics software SPSS.

Study Findings: 114 respondents took part in the study, 72 of which were women and 42 men. Minimal age was 18 years and maximum age was 86 (Mean = 34.95). 84 respondents were within the younger age group and 28 individuals were within the older age group. According to the results, the most influential source of knowledge within the younger age group is personal and friend's experiences 35.7%, while the most influential for the older age group was Media services (Television and Internet) 50%.

Statistically significant difference is located within the age groups in perception of physical harm caused by marijuana. 39.3% out of 18-35 age group perceived marijuana as harmful for physical health, 28.6% perceived it as very harmful as opposed to 21.4% of 45-90 age group

considering marijuana harmful and 64.3% thinking it is very harmful for physical health (p = .017).

67.9% out of the older age group reported that laws and regulations for marijuana consumption should be stricter, whereas, 54.8% of the younger age group though that the laws should become more liberal (p <.001).

Higher levels of stigmatization were shown within the 45-90 age group towards an example person using marijuana, this age group had significantly more anger (p = .001) and perceived dangerousness in comparison to the young age group (p = .028), as opposed to higher level of pity shown by older age group respondents towards an example person who was using alcohol (p = .011).

Conclusion: There is a difference within age groups in dominant sources used to receive information about effects and harm of psychoactive substances. Perception of the older age group matches the legal classification of drugs in Georgia, whereas, knowledge of the younger age group matches empirical information of effects and harm.

Results of the study show that there is considerably more stigma towards users of marijuana within people over 45 years.

Key words: Alcohol, Marijuana, Nicotine, Opiate, Harm of use.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო თემის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს დავით ოთიაშვილს კვლევის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე გაწეული დახმარებისთვის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე ყველა პირს, მათი ჩართულობის გარეშე ვერ მოხდებოდა კვლევის წარმატებით განხორციელება.